მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-9

30.09. 2022წ

დ. მესტია

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ვ. ჭკადუა, ი. რატიანი, შ. ცინდელიანი, მ. ხორგუანი, რ. გვარმიანი, ზ. ფალიანი, ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, გ. დადვანი, დ. გვიჩიანი, თ. დადეშქელიანი, ი. გირგვლიანი, ლ. პაკელიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, ლ. ქალდანი, შ. გულედანი, კ. გუჯეჯიანი, ზ. ხარძიანი, შ. რატიანი, ზ. ჯაფარიძე, ა. რატიანი, დ. ჯაფარიძე.

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> გ. ხვისტანი, მ. კვანჭიანი, მ. გელოვანი, მ. რატიანი. **გ. გელოვანი,**

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლ. გულედანი,

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 27 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. **,,მესტიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის 2022 წლის 6 თვის ანგარიშის შესახებ**

/მომხსენებელი: ლ. გულედანი თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი./

3. **,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ".**

/მომხსენებელი: მ. ჯაფარიძე/

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ"**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------27

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № 39 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. გულედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის 2022 წლის 6 თვის ანგარიშის შესახებ".
მომხსენებელმა ისაუბრა სამსახურის საქმიანობაზე, ხარვეზებზე და მომავალ გეგმებზე. (ანგარიში თან ახლავს).
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა: ზ. ფალიანმა-კომისიამ განიხილა საკითხი,
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------27
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის 2022 წლის 6 თვის ანგარიშის შესახებ".

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება **№გ-135.135222731**თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ჯაფარიძემ ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ". მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას სთხოვა აქტიურად ჩართულიყვნენ სამუშაო გეგმის შედგენაზე და საკრებულოს საქმიანობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------27
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ".

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება **№გ-135.135222732** თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.
სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე